# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-291

26/04/2018 ქ. თბილისი

**„თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაშირღელის ტერიტორიაზე შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას" ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და აგლომერაციის საამქროს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე" სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-5 პუნქტის, მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელის ტერიტორიაზე, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას" ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და აგლომერაციის საამქროს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #3; 12.04.2018წ.
2. შპს„ჭიათურმანგანუმ ჯორჯია" სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #3;12.04.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს„ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი